ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N7

30.07.2026

სხდომის
ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა 46 ბ

შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის შენობა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა ჩაატარდა , ნიკეას ქუჩა 46 ბ-ში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, მაგდა კოსტავა, თამთა ბაკურაძე, ლანა ჩიტიძე, მიხეილ გიორგაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე ქალბატონი ფიქრია ხაჭაპურიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ანკა ერემეიშვილი დაქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე.

შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის დირექტორი ქალბატონი ნინო ჩალაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის დირექტორის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში და სამომავლო გეგმების განხილვა.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

**მანანა ჩიხლაძე:** მოგესალმებით, მინდა ჩემი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ქალბატონი ნინოს მიმართ, ახალი ისტორია იწერება ამ პოლიკლინიკის ისტორიაში, მახარებს, რომ აისო სერთიფიკატი მოიპოვა და ძალიან კარგია, რომ არის განვითერებადი.

**შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის დირექტორი ქალბატონი ნინო ჩალაძე:**

მოგესალმებით: მახარებს, რომ თქვენი მიღება და მასპინძლობა მიწევს გარემონტებულ, მოწესრიგებულ, გალამაზებულ გარემოში, და მინდა მადლობა გითხრათ თანადგომისთვის, რადგან თქვენს გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. რაც შეეხება ანგარიშს, მოგახსენებთ, რომ ,,ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“ წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 100% - იანი წილის საკუთრებას, რომელიც შედგება ორი ფილიალისაგან (ნიკეას 46 ბ -ში და სულხან - საბას 19 - ში მდებარე შენობა-ნაგებობები).

ჩვენი პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე იმყოფება 36 000 -მდე ბენეფიციარი და ემსახურება, როგორც ქუთაისის ორი დიდ უბანს (ნიკეასა და სულხან-საბას დასახლება), ასევე ქუთაისისა და სხვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

2025 წლის განმავლობაში პოლიკლინიკა მოემსახურა 132 000 -მდე ბენეფიციარს, ხოლო 2026 წლის ივნისის ჩათვლით 52 613 ბენეფიციარს.

ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა სამედიცინო აქციებში.
უკვე მესამედ ტენდერი მოვიგეთ და ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბაღებში შევდივართ, ვამოწმებთ სკოლამდელ აღსაზრდელებს. მწარე რეალობაა რომ მომატებულია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რაოდენობა. აღნიშნული პროგრამით ძალიან კმაყოფილია, როგორც მშობლები ასევე პედაგოგები.

პოლიკლინიკამ ზედიზედ მესამეთ წარმატებით გაიარა ISO 9001 2015. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ლაბორატორიის ISO 15 189:2022 აკრეტიდაციისთვის.

მესამე წელია პოლიკლინიკა მონაწილეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის გამოცხადებულ ტენდერში - სასკოლო ასაკის ბაღის ბავშვების სამედიცინო გამოკვლებევში.

ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა იმერეთის მასშტაბით არის ერთადერთი საყრდენი ბაზა ლუგარის ლაბორატორიის, გრიპის და გრიპის მაგვარი დაავადებების გამოვლენისა და პრევენციაში.

2025 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა პოლიკლინიკის წინა ფასადს, დამონტაჟდა ლიფტი შშმ პირებისთვის.

პოლიკლინიკისთვის მთავარ გამოწვევად რჩება ინფრასტრუქტურა, რადგან რეაბილიტირებულია შენობის მხოლოდ პირველი სართული.

პოლიკლინიკამ 2025 წელი, ისევე როგორც წინა წლები დადებითი ფინანსური ბალანსით დაასრულა.

**მარეხი ნიჟარაძე:** თუ გაქვთ მეორე სართულის რეაბილიტაციის პროექტი?

**ნინო ჩალაძე:** დიახ, ორი წლის წინ გავაკეთეთ და 350 000 ლარია, მე ძალიან დიდი იმედი მაქვს თქვნი მხარდაჭერის.

**მაგდა კოსტავა:** ლიფტი თუ არის?

**ნინო ჩალაძე:** დიახ, ლიფტი არის მესამე სართულის ჩათვლით.

**მანანა ჩიხლაძე:** ექიმის საშუალო ხელფასი რამდენი ლარია?

**ნინო ჩალაძე:** ხელფასი არის ბენეფიციარის მიხედვით, 1.3 ლარიდან იწყება და 1,8 ლარამდეა, 0.50 თეთრი ხვდება ექიმს ერთი ბენეფიციარიდან, ზოგ ექიმს 1500 ლარი აქვს, სამწუხაროდ არიან პედიატრები, რომლებიც ამხელა ხელფასს ვერ იღებენ, კარგი პროფესიონალები მუშაობენ და 700 ლარზე მეტს ვერ იღებენ. იმის იმედად, რომ სექტემბრიდან იმუნიზაციის პრობლემა მოგვარდება,

ამისთვის სასჯელს არ ვიმსახურებთ, ამ პროგრამაში, რომ ჩავერთვებით 1, 80 ლარიდან სულ მცირე 4,20 ლარზე ავალთ.

**მიხეილ გიორგაძე:** მე-17 სკოლის დირექტორი ჩემი მეგობარი ახალგაზრდა კაცია, სკოლა თქვენს უბანს ეკუთვნის, შემიძლია დავუკავშირდე და ერთად ჩაერთოდ სკრინინგის აქტიობაში და ბენეფიციარების მოგემატებათ, საშური საქმე იქნება, როგორც თქვენთვის ასევე სკოლისთვის.

**სალომე სარალიძე:** გასვლითი აქტიობით რაც შეგიძლიათ, სმენის, მხედველობის, ხერხემლის შემოწმება მე შემიძლია ოთახიც გამოგიყოთ და დაწყებითი კლასის შემოწმება განახორციელოთ.

**ნინო ჩალაძე:** ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ მობრძანებისთვეს, მხარდაჭერისთვის, მე თვითმმართველობის იმედი ყოველთვის მაქვს.

შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის დირექტორის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს დადებითად შეაფასეს და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

ამით, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ქალბატონი მანანა ჩიხლაძე